დანართი №1

# გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი

## საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამა

# საეკლესიო მუსიკა

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

ასოც. პროფესორი - მალხაზ ერქვანიძე

ასოც. პროფესორი - დავით შუღლიაშვილი

ასოც. პროფესორი - თეონა რუხაძე

გიორგი დონაძე

**1. პროგრამის სახელწოდება:** საეკლესიო მუსიკა

**2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)
Bachelor of Music in Georgian Folk and Sacred Music Conducting

**3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ECTS 241 კრედიტი**

- ძირითადი სპეციალობის მოდული - **135 კრედიტი**
- დამხმარე ბლოკი - ქართული მუსიკალური ფოლკლორი - **55 კრედიტი**
- ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინების ბლოკი - **51 კრედიტი**

**4. სწავლების ხანგრძლივობა:** 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისგან და მოიცავს 34 კვირას . I სემესტრის ხანგრძლივობაა (17 კვირა, რაც მოიცავს 15 სასწავლო კვირას, 2 სასესიო კვირას). II სემესტრის ხანგრძლივობაა 17 კვირა (15 სასწავლო კვირა, 2 სასესიო კვირა)

**4. სწავლების ენა:** ქართული

**5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგი**

- საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს საეკლესიო მუსიკის, ლიტურგიკის, დოგმატიკის სფეროში თეორიული ცოდნის გადაცემისა და საშემსრულებლო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით გზით მოამზადოს საეკლესიო გუნდის წევრი და რეგენტი, რომელიც იცნობს ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო ღვთისმსახურების სრულ სამგალობლო რეპერტუარს, ქართული ტრადიციული მუსიკის რეპერტუარს, სასიმღერო და ინსტრუმენტული შესრულების ფორმებსა და ხერხებს. საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი დაეუფლება ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ეთიკის საფუძვლებს. მასზე დაყრდნობით დაიცავს ეროვნულ ტრადიციულ ქრისტიანულ ღირებულებებს, მრავალსაუკუნოვანი ქართული სამგალობლო მხატვრულ-ესთეტიკურ ნორმებს და საშემსრულებლო ტრადიციებს. პროგრამის კურსდამთავრებული გამოიჩენს პატივისცემას საეკლესიო მემკვიდრეობისა და კულტურული ტრადიციების მიმართ. მიღებული ცოდნა სწორ ორიენტირებს შეუქმნის დაიცვას და განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ქართული სამგალობლო საშემსრულებლო ტრადიციები.

**დასაქმების სფერო:**

პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებში, მუსიკალურ-ფოლკლორულ კოლექტივებში, ანსამბლის წევრად, ან ხელმძღვანელად, საშუალო რგოლის შესაბამისი პროფილის საგანამანთლებლო დაწესებულებებში, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებებში, კულტურის ცენტრებში. მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საფეხურზე.

**6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მუსიკის ბაკლავრის პროგრამაზე დაშვებისათვის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურებში (სპეციალობასა და მუსიკის თეორიაში) და ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

7. სწავლის შედეგი

კვალიფიკაცია - „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრი საეკლესიო მუსიკაში" - ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. | • კურსდამთავრებულს აქვს საეკლესიო მუსიკაში საშემსრულებლო ხელოვნების პროფესიული ცოდნა;<br>• გამომუშავებული აქვს საეკლესიო და ხალხური გუნდის ხელმძღვანელობის უნარ-ჩვევები;<br>• იცნობს საეკლესიო მუსიკისა და ხალხურ ტრადიციული სიმღერის უმთავრეს რეპერტუარს;<br>• ფლობს გუნდური შესრულების, ასევე გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს;<br>• აქვს მუსიკის თეორიაში, საეკლესიო მუსიკოლოგიაში საკითხების ზოგადი, საბაზისო ცოდნა;<br>• გააჩნია ზოგადი ცოდნა საღვთისმეტყველო საგნების სფეროში;<br>• გააჩნია ზოგადი ცოდნა ჰუმანიტარული საგნების სფეროში;<br>• შეძენილი აქვს ბაზისური ცოდნა ქართული ხალხური მუსიკის ისტორიის, თეორიისა და შემსრულებლობის საკითხებში; |

| | | |
|---|---|---|
| | | • აცნობიერებს საეკლესიო მუსიკისა და საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის, როგორც მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერების ქვედარგის საერთო სტრუქტურას და მის ურთიერთკავშირს თეოლოგიასთან და ხელოვნების დარგებთან. |
| **უნარი** | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და | • ბაკალავრს მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე შეუძლია შეკრიბოს საეკლესიო გუნდი, შეასწავლოს მუსიკალური ნიმუშები და უხელმძღვანელოს მათ. აქვს უნარი გაშიფროს - ნოტებზე გადაიტანოს მუსიკალური ნიმუში და შეასწავლოს იგი გუნდს; შეუძლია მოიძიოს და დაამუშავოს სამეცნიერო ლიტერატურა; ფლობს ქართულ ხალხურ საკრავებზე საშემსრულებლო უნარ-ჩვევებს;<br>• ბაკალავრს შეუძლია დროულად აღმოაჩინოს ხარვეზები სამგალობლო გუნდის მეცადინეობის და ზოგადად, შესრულების პროცესში და აღმოფხვრას ისინი;<br>• შეუძლია, გააანალიზოს შესასწავლი სანოტო ან აუდიო ნიმუში და მაქსიმალურად ადეკვატურად ასახოს იგი საკუთარი გუნდის შესრულებაში;<br>• აქვს როგორც საკუთარი, ასევე საეკლესიო და ფოლკლორული გუნდის საშემსრულებლო მოღვაწეობის დაგეგმვის უნარი;<br>• აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ შესრულებული ნიმუშის შეფასების უნარი;<br>• აქვს საშემსრულებლო პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი;<br>• შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>• ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერითი და ზეპირი მეტყველების სპეციფიკას, აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად;<br>• ფლობს უცხო ენას პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის; |

| | | |
|---|---|---|
| | კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. | • იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება. | • შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;<br>• შეიძენს უნარს, თავად დაგეგმოს სწავლის სტრატეგია და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები;<br>• შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საფეხურზე;<br>• ბაკალავრი საგანმათლებლო პროგრამის განმავლობაში დაეუფლება ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ეთიკის საფუძვლებს. მასზე დაყრდნობით დაიცავს ეროვნულ ტრადიციულ ქრისტიანულ ღირებულებებს;<br>• მიღებული ცოდნა სწორ ორიენტირებს შეუქმნის დაიცვას მრავალსაუკუნოვან ქართული სამგალობლო საშემსრულებლო ტრადიციები;<br>• გამოიმუშავებს პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას პროფესიისადმი, მისი ნორმების ნებისმიერ სიტუაციაში დაცვის მზაობით;<br>• ქრისტიანული რჯულის საფუძველზე დაიცავს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმებს;<br>• გამოიჩენს პატივისცემას ეროვნული საეკლესიო მემკვიდრეობისა და კულტურული ტრადიციების მიმართ. |

**8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:**

სწავლება ხორციელდება ტრადიციული ფორმებით: ლექცია, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა, რომლებზეც გამოიყენება სწავლების აქტიური მეთოდები: დისკუსია, კითხვა–პასუხის სესია, პრეზენტაცია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირების, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-

განმარტებითი მეთოდს და სხვა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა საშემსრულებლო-პრაქტიკული უნარების განვითარებას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება სარეპეტიციო მუშაობა, საკონცერტო გამოსვლები. ფესტივალებში მონაწილეობა და სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებში ჩართვა;

## 9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ასქულიანი და მრავლკომპონენტიანი. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

| ქულები | ქულების ასოითი აღნიშვნა | შეფასების აღნიშვნა |
|---|---|---|
| 91 _ 100 | A | ფრიადი |
| 81 – 90 | B | ძალიან კარგი |
| 71 _ 80 | C | კარგი |
| 61 _ 70 | D | დამაკმაყოფილებელი |
| 51 _ 60 | E | საკმარისი |

| | | |
|---|---|---|
| 41 – 50 | FX | ვერ ჩააბარა |
| 0 _ 40 | F | ჩაიჭრა |

10. პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის „საეკლესიო მუსიკა“ საგნების რუქა

I. ძირითადი სპეციალობის ბლოკი

| № | საგნის (მოდულის) დასახელება | პედაგოგი | კრ./კრ ჯამში | საათი (კვირა) | სემესტრი | სავ./არჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საეკლესიო მუსიკა (გალობა) | გიორგი დონაძე, ზურაბ წკრიალაშვილი, გიორგი ხუნაშვილი, მალხაზ ერქვანიძე, გოჩა ბიძინაშვილი, ბექა კოვზიაშვილი, დავით შუღლიაშვილი, ლევან ვეშაპიძე, დავით კოლელიშვილი, ტატიანა მეგრელიძე, ნინო ნანეიშვილი, ეკატერინე ყაზარაშვილი | 4/28 | 4 | 1,2,3,4,5,6,7 | სავ. |
| 2. | ლიტურგიკული კითხვა | მალხაზ ერქვანიძე | 3/6 | 2 | 5,6 | სავ. |
| 3. | სალოტბარო ხელოვნება | სერგო ურუშაძე / ნინო რაზმაძე | 3/21 | 4 | 1,2,3,4,5,6,7 | სავ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია | თამარ ჩხეიძე | 3/9 | 2 | 5,6,7 | სავ. |
| 5. | სოლფეჯიო | ალა ჩუტკერაშვილი / თამარ თოლორდავა | 3/9 | 2 | 1,2,3 | სავ. |
| 6. | აკუსტიკური მუსიკის ჩაწერა | მანანა ჟღენტი | 3/3 | 2 | 6 | სავ. |
| 7. | ელ. თეორია | ალა ჩუტკერაშვილი | 3/6 | 2 | 1,2 | სავ. |
| 8. | მუსიკის თეორია | ეკა ონიანი | 3/3 | 2 | 5 | სავ. |
| 9. | აკადემიური მუსიკა | თამარ თავშავაძე | 3/6 | 2 | 5,6 | სავ. |
| 10. | დირიჟორობის საფუძვლები | მიხეილ ედიშერაშვილი | 3/3 | 2 | 5 | სავ. |
| 11. | ლიტურგიკა | დეკანოზი მიქაელ გალდავა | 3/6 | 2 | 5,6 | სავ. |
| 12. | დოგმატიკა | დეკ. დავით თავაძე | 3/3 | 2 | 7 | სავ. |
| 13. | ძველი აღთქმა | დეკ. დავით თავაძე | 3/6 | 2 | 1,2 | სავ. |
| 14. | ახალი აღთქმა | დეკ. დავით თავაძე | 3/6 | 2 | 3,4 | სავ. |
| 15. | სადიპლომო ნაშრომი (შემოქმედებითი პროექტი) | | 20 | 12 | 8 | სავ. |
| ჯამი | | | 135 | | – | – |

5. დამხმარე ბლოკი - ქართული მუსიკალური ფოლკლორი

| № | საგნის (მოდულის) დასახელება | პედაგოგი | კრ/კრეჯა მში | საათი (კვირა) | სემესტრი | სავ./არჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ქართული ხალხური სიმღერა | გიორგი დონაძე, ზურაბ წკრიალაშვილი, გიორგი ხუნაშვილი, მალხაზ ერქვანიძე, გოჩა ბიძინაშვილი, ბექა კოვზიაშვილი, დავით შუღლიაშვილი, ლევან ვეშაპიძე, დავით კოლელიშვილი, თეონა რუხაძე, ტატიანა მეგრელიძე, ნინო ნანეიშვილი | 4/28 | 4 | 1,2,3,4,5,6,7 | სავ. |
| 2. | ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება | მაკა ხარძიანი | 3/6 | 2 | 2,3 | სავ. |
| 3. | ქართული ხალხური საკრავის მოდული | | – | – | – | სავ. |
| 3.1 | ფანდური/ჩონგური | გიორგი გოგიტაძე | 3/9 | 2 | 1,2,3 | სავ. |
| 3.2 | ჭუნირი. ჩანგი | ბესიკ ფირცხელანი | 3/9 | 2 | 1,2,3 | სავ. |
| 3.3 | გარმონი / გუდასტვირი | ნიკოლოზ ჯოხაძე / გიორგი გოგიტაძე | 3/3 | 2 | 4 | სავ./არჩ. |
| ჯამი | | | 55 | | – | |

* ქართული ხალხური სიმღერის მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთ რომელიმე სასწავლო კურსს ან ქართულ ხალხურ სიმღერას

5. ზოგადი ჰუმანიტარული საგნების ბლოკი

| № | საგნის (მოდულის) დასახელება | პედაგოგი | კრ/კრ ჯამში | საათი (კვირა) | სემესტრი | სავ./არჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საქართველოს ისტორია | ელდარ ბუბულაშვილი | 3/6 | 2 | 1,2 | სავ. |
| 2. | საქართველოს ეკლესიის ისტორია | ელდარ ბუბულაშვილი | 3/6 | 2 | 3,4 | სავ. |
| 3. | აკადემიური წერა | თამარ ასათიანი | 4/4 | 2 | 1 | სავ. |
| 4. | კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკები | მაია მეტრეველი | 3/3 | 2 | 1 | სავ. |
| 5. | ძველი ქართული ენა და ლიტერატურა | თამარ ასათიანი | 4/8 | 2 | 2,3 | სავ. |
| 6. | ინგლისური ენა | ოთარ ხაზალია | 3/12 | 2 | 1,2,3,4 | სავ. |
| 7. | ქრისტიანული ხელოვნების ისტორია | ირმა მათიაშვილი | 3/6 | 2 | 5,6 | სავ. |
| 8. | მუსიკალური ინფორმატიკა | მანანა ჟღენტი | 3/3 | 2 | 5 | სავ. |
| 9. | ქართული საფერხულო წყობის ცეკვები | ალეკო გელაშვილი | 3/3 | 2 | 6 | სავ. |
| | | | | | | |
| ჯამი | | | 51 | | | |
| სულ ჯამში | | | 242 | | | |

## 11. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის აუდიტორიები, ლაბორატორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი ლექტორებთან.

## 12. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები

პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამის რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის სასწავლო კურსით/კურსებით და პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს საეკელსიო მუსიკის ფაკულტეტის სამდივნო, სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

| გვარი, სახელი | აკადემიური თანამდებობა | საკონტაქტო ინფორმაცია |
|---|---|---|
| დეკანოზი მიქაელ გალდავა | პროფესორი | 571 33 28 52; miqaelgaldava@yahoo.com |
| თამარ ჩხეიძე | პროფესორი | 599 11 41 60; tchkheidze69@gmail.com |
| მალხაზ ერქვანიძე | ასოცირებული პროფესორი | 579 71 09 06; maxokulasheli@gmail.com |
| დეკ. დავით თავაძე | ასოცირებული პროფესორი | 555 55 51 17; gelatavadze@yahoo.com |
| ლევან ვეშაპიძე | ასისტენტ–პროფესორი | 599 57 45 96; veshapo73@gmail.com |
| დავით შუღლიაშვილი | ასოცირებული პროფესორი | 599 25 46 45 davidshugliashvili@yahoo.com |
| გიორგი დონაძე | ასოცირებული პროფესორი | 595 05 89 89; donadzegiorgi@gmail.com |
| თეონა რუხაძე | ასოცირებული პროფესორი | 595 80 90 09; |

| | | |
|---|---|---|
| | | teorukhadze@gmail.com |
| ტატიანა მეგრელიძე | ასისტენტ–პროფესორი | 599 76 02 21<br><br>tatamegr@gmail.com |
| გოჩა ბიძინაშვილი | ასისტენტ-პროფესორი | 555 46 99 91;<br><br>Gocha.bidzinashvili@mail.com |
| ზურაბ წკრიალაშვილი | ასისტენტ–პროფესორი | 571 44 00 24;<br><br>zubasiani@gmail.com |
| ალა ჩუტკერაშვილი | ასისტენტ–პროფესორი | 568 69 65 06;<br><br>tchutkerashvili@gmail.com |
| თამარ თოლორდავა | პედაგოგი | 599 33 38 89;<br><br>tamartolordava@galoba.edu.ge |
| მაკა ხარძიანი | პედაგოგი | 555 23 27 42;<br><br>Maka.khardziani@yahoo.com |
| ბექა კოვზიაშვილი | პედაგოგი | 595 25 24 01;<br><br>beqakovzi@yahoo.com |
| მაია მეტრეველი | პედაგოგი | 551 94 94 02;<br><br>maia.metreveli@tsc.edu.ge |

| | | |
|---|---|---|
| ბესიკ ფირცხელანი | პედაგოგი | 551 49 44 49; Svani.fircxelani@gmail.com |
| თამარ თავშავაძე | პედაგოგი | 599 75 25 71; tatiatav2@yahoo.com |
| ეკატერინე ყაზარაშვილი | პედაგოგი | 598 14 84 31 eyazarashvili@yahoo.com |
| ელდარ ბუბულაშვილი | პედაგოგი | 555 18 16 11; eldari.bub@yahoo.com |
| თამარ ასათიანი | პედაგოგი | 599 26 68 36; tamarasatiani110@gmail.com |
| ირმა მათიაშვილი | პედაგოგი | 558 91 00 50; i_matiashvili@yahoo.com |
| ოთარ ხაზალია | პედაგოგი | 598 10 19 99; otar_khazalia@yahoo.com |
| ალეკო გელაშილი | პედაგოგი | 593 32 34 17 Aleko_22@mail.ru |
| მანანა ჟღენტი | პედაგოგი | 595 01 10 70 |

| | | |
|---|---|---|
| | | Manana.zhgenti@conservatoire.edu.ge |
| ეკატერინე ონიანი | პედაგოგი | 595 03 74 97;<br><br>ekaterine.oniani@gmail.com |
| ნინო ნანეიშვილი | პედაგოგი | 598 59 08 80<br><br>ninonaneishvili@gmail.com |
| გიორგი გოგიტაძე | პედაგოგი | 599 30 60 31<br><br>ebanoidzemarim@gmail.com |
| ნინო რაზმაძე | მოწვეული პედაგოგი | 599 41 70 76<br><br>nino.razmadze@tsc.edu.ge |
| სერგო ურუშაძე | მოწვეული პედაგოგი | 555 61 25 80<br><br>sergiurushadze@gmail.com |

**13. პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია:**

სასწავლებელში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობს პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით; შეიმუშავებს რეკომენდაციებს და დასკვნებს, გადასცემს ფაკულტეტის დეკანს საბჭოზე განსახილველად. პროგრამა ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდეგ– წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამა შენიშვნებითა და რეკომენდაციებით დაუბრუნდება შესაბამის სამსახურს შემდგომი განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების მიზნით. ამ ეტაპზე დასახულია **პროგრამის გაუმჯობესების შემდეგი სტრატეგია:**

- ახალი არჩევითი და არჩევითი მოდულების/ სასწავლო კურსების შემუშავება და სტუდენტთათვის შეთავაზება;
- პროგრამის განვითარების მიზნით დაგეგმილია ხმის ჩამწერი სტუდიის გარემონტება და სასწავლო პროცესში მისი გამოყენა.
- შესაბამისი პროფილის ქართულენოვან სახელმძღვანელოებზე მუშაობის აქტივიზაცია;
- პროგრამისადმი ინტერესის გაძლიერება დამსაქმებლების მხრიდან;
- დამატებითი დაფინანსების მოზიდვა სახელმწიფოსა და სხვა სტრუქტურების, დონორი ორგანიზაციების, ფონდების მხრიდან.
- შესაბამისი პროფილის ევროპის წამყვან უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინტენსიური თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარება.
- პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების პერიოდული გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.